ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ლელო

№ 202 (3686)

13 1968 წ. ოქტომბერი, კვირა.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 45-ე წელი.

# აგიზგიზდა ოლიმპიური ცეცხლი!

MEXICO 68

**ბედნიერ სტარტებს გისურვებთ, საბჭოთა სპორტსმენებო!**

მეხიკო, „ვილა ოლიმპიკა", მე-8 კორპუსი

## XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სსრ კავშირის სპორტსმენებს

ძვირფასო მეგობრებო!

ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულწრფელად გილოცავთ ზაფხულის XIX ოლიმპიური თამაშების გახსნას.

თქვენ გხვდათ დიდი პატივი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სპორტული ღირსების დაცვისა. საბჭოთა სპორტსმენებმა მთელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს წინა ოლიმპიადებში მოპოვებული გამარჯვებებით.

ჭალარა ბალტიიდან წყნარ ოკეანემდე, ცივი იმიერპოლარეთიდან შუა აზიის მცხუნვარე ველებამდე მილიონობით ჭაბუკი და ქალიშვილი ყურადღებით ადევნებს თვალს თქვენს გამოსვლებს, სწამს საბჭოთა სპორტული ნებისყოფისა და ჩვენი ვრცელი სამშობლოს წარგზავნილთა სულის სიმტკიცისა.

თქვენ საბჭოეთის ქვეყნის წითელი დროშით დაიწყებთ გზას ოლიმპიურ თამაშებში. ეს დროშა ჩვენი ხალხის დიად გამარჯვებათა უკვდავი ნათელითაა გაცისკროვნებული. თქვენი მამა-პაპანი ალისფერი დროშებით უტევდნენ ზამთრის სასახლეს, იდგნენ პირველი ხუთწლედის მშენებლობებზე, აღმართეს იგი განადგურებულ რაიხსტაგზე. საბჭოთა ახალგაზრდობა ლენინის დროშით მიდის აღთქმული მიზნისკენ — კომუნიზმისკენ.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ თქვენ, საბჭოთა ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ლენინური კომკავშირის აღზრდილები მისი სახელოვანი 50 წლის იუბილეს წინ მაღლა აღმართულს ატარებთ ჩვენს ალისფერ დროშას ოლიმპიური თამაშების სპორტულ ბრძოლებში, გამოიჩენთ დიდ პატრიოტიზმს, გამარჯვებისკენ სწრაფვას სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ!

გისურვებთ ბედნიერ სტარტებს, დიდ სპორტულ სიხარულს!

**ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.**

მოსკოვი, 1968 წლის ოქტომბერი.



ს უ რ ა თ ზ ე: ტეოტიხუაკანის პირამიდის წვერზე დადგმულ ფიალაში ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს.

## საქართველოს ოლიმპიელები

გთამაზობთ ჩვენი რესპუბლიკის იმ სპორტსმენთა სიას, რომელთაც ოლიმპიურ თამაშებში უასპარეზიათ:

**1952 წ. XV ოლიმპიური თამაშები. ჰელსინკი.** ოქროს მედლები მოიხვეჭეს მოჭიდავე დ. ციმაკურიძემ, ძალოსანმა რ. ჩიმიშკიანმა და მ. ჯუღელმა (ტანმოვარჯიშეთა გუნდურ შეჯიბრებაში). ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ მძლეოსანი ლ. სანაძე, კალათბურთელები ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია. ბრინჯაო წილად ხვდათ მძლეოსნებს ნ. დუმბაძეს, ნ. დვალიშვილს. მათ გარდა ოლიმპიურ ჰელსინკში იყვნენ ფეხბურთელები გ. ანთაძე, ვ. მარღანია, ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი, მძლეოსანი ე. გოკიელი, ველოსიპედისტი ო. დადუნაშვილი, ტანმოვარჯიშე ს. ჯაიანი, მოჭიდავეები ვ. ბალავაძე, გ. კარტოზია, ვ. ილურიძე, ნ. მუზაშვილი, გ. როსტიაშვილი.

**1956 წ. XVI ოლიმპიური თამაშები. მელბურნი.** ოქროს მედლები მოიხვეჭეს მოჭიდავეებმა გ. კარტოზიამ, მ. ცალქალამანიძემ. ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ მოჭიდავეები ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, რ. ძნელაძე, მძლეოსანი ნ. დვალიშვილი, წყალბურთელი ნ. გვახარია, მოცურავე ბ. ნიკიტინი. მათ გარდა ოლიმპიურ მელბურნში იყვნენ მოფარიკავეები ი. ოსიპოვი, რ. ცირეკიძე.

**1960 წ. XVII ოლიმპიური თამაშები. რომი.** ოქროს მედლები მოიხვეჭეს მძლეოსანმა რ. შავლაყაძემ და მოჭიდავე ა. ქორიძემ. ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ მოჭიდავე გ. სხირტლაძე, კალათბურთელები გ. მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე, წყალბურთელები ლ. გოგოლაძე, გ. ჩიქვანაია. ბრინჯაო წილად ხვდათ მოჭიდავეებს გ. კარტოზიას, ვ. რუბაშვილს, მოფარიკავე გ. კოსტავას. მათ გარდა ოლიმპიურ რომში იყვნენ მძლეოსნები ი. დიაჩკოვი რ. ქვაჩაკიძე, ა. შჩერბინა, მოჭიდავეები რ. აბაშიძე, ვ. ბალავაძე, მოფარიკავე ნ. ასათიანი, მოცურავე ბ. ნიკიტინი.

**1964 წ. XVIII ოლიმპიური თამაშები. ტოკიო.** ოქროს მედლები მოიხვეჭეს ფრენბურთელმა ვ. კაჭარავამ და ნ. ასათიანმა (ფარიკაობა, გუნდური). ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ მოჭიდავეები გ. სალარაძე, რ. რურუა, მსროლელი შ. ქველიაშვილი, კალათბურთელი ლ. მოსეშვილი. ბრინჯაო წილად ხვდათ მოჭიდავეებს დ. გვანცელაძეს, ა. კიკნაძეს, ფ. ჩიკვილაძეს, ნ. ხოხაშვილს, მოფარიკავე გ. კოსტავას, მათ გარდა ოლიმპიურ ტოკიოში იყვნენ მოჭიდავეები რ. აბაშიძე, ზ. ბერიაშვილი, შ. ლომიძე, წყალში მხტომელი ბ. პოლულიახი, ველოსიპედისტი ო. ფხაკაძე, მძლეოსანი რ. შავლაყაძე, მოცურავე ა. ტუტაკაევი.

## თ. კაკულია მეხიკოში

როგორც ცნობილია, მეხსიკის XIX ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩოგბურთი შეტანილი არ არის, მაგრამ მასპინძლებმა გადაწყვიტეს მოიწვიონ სხვადასხვა ქვეყნის ჩოგბურთელები საჩვენებელი თამაშების ჩასატარებლად. კერძოდ, მეხსიკაში გაემგზავრნენ ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელები — რიგელი ზ. იანსონე, მოსკოველები ა. ვოლკოვი, ვ. კოროტკოვი და თბილისელი თ. კაკულია.





## სპორტის საერთაშორისო ზეიმი დაიწყო

მეხიკო, 12 ოქტომბერი. დადგა XIX ოლიმპიური თამაშების გახსნის დღე, რომელსაც ოთხ წელიწადს ელოდა ათასობით სპორტსმენი და მილიონობით მათი გულშემატკივარი. სპორტის საერთაშორისო დღესასწაული დაიწყო.

როგორც ყოველი ზეიმის წესია, იგი მეხსიკის დედაქალაქის სტადიონზე აღნიშნა თითქმის ასი ათასმა კაცმა. ამ ზეიმს ტელევიზიით გადასცემენ დედამიწის ყოველ კუთხეში, ამ დღესასწაულზე წერენ ალბათ მთელი მსოფლიოს გაზეთები (ოლიმპიურ თამაშებზე წერას აპირებს 4 ათასამდე ჟურნალისტი, ორჯერ მეტი, ვიდრე ადრე იყო ნავარაუდევი). მეხსიკის ხალხის სახელით ოლიმპიადის მონაწილეებს მიესალმა მათი პრეზიდენტი გუსტავო დიას ორდასი, ხოლო თამაშების ცეცხლის დანთების უფლება ამ ასპარეზობის ისტორიაში პირველად მიეკუთვნა ქალს — 20 წლის ენრიკეტა ბასილიოს.

ოლიმპიური ჩირაღდნის გზა გრძელი იყო: ოლიმპიადების სამშობლოდან — ძველი ელადიდან მეხსიკის დედაქალაქამდე. და შვიდი ათასი კაციდან უკანასკნელს იგი ამ მეხსიკელ ქალიშვილს მოჰქონდა. ჩირაღდანს გზა ედო არა მხოლოდ ზღვებსა და ხმელეთზე, არამედ ადამიანთა გულებშიც, რადგან ოლიმპიადა მარტო სპორტი როდია. ესაა ხალხთა მეგობრობის, მშვიდობისკენ მათი მისწრაფების ამაღლევებელი სიმბოლო.

ოლიმპიადა დედამიწის ყოველ კუთხეში იწვევს ინტერესს. ეს აჟიოტაჟი არაა. სპორტი დღითი-დღე სულ უფრო მეტ ხალხს იზიდავს, სულ უფრო მეტად უწყობს ხელს მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, მოაქვს მათთვის სიხარული. ადამიანი არ ილევა შრომაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში ახალი მიღწევებისკენ სწრაფვით. და ეს სწრაფვა სპორტშიც თანაბარი ძალით იგრძნობა.

XIX ოლიმპიადაზე თავი მოიყარეს საუკეთესოთა შორის საუკეთესო სპორტსმენებმა, მათ, ვინც ყოველდღე ამტკიცებს, თუ რაოდენ უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობები ფიზიკურ სრულყოფაში, იმ ბრძნული აზრის ხორცშესხმაში, რომელიც თითქმის თვით ოლიმპიადების ხნისაა: „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია". სხვათა შორის, არც ერთ ოლიმპიურ თამაშებს არ ჰყოლია ამდენი მონაწილე — თითქმის 8 ათასი.

საბჭოთა გუნდი მეხუთედ გამოდის ოლიმპიურ სარბიელზე. საბჭოთა სპორტსმენები (მათი რიცხვი კი 400-ზე მეტია) გამოდიან პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში, გარდა ფეხბურთისა და ბალახის ჰოკეისა. 1067 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედლიდან რამდენს მოიპოვებენ ჩვენი წარგზავნილები? არა, თავი დავანებოთ პროგნოზებს, მათი დრო წავიდა. ახლა აღარ რჩება დრო იმაზე საწერადაც, თუ როგორ იძლევიან სპორტსმენები ავტოგრაფებს, როგორ ცვლიან სამკერდე ნიშნებს გულშემატკივრები, როგორაა მორთული ქუჩები და სტადიონები. აღარაა დრო სხვადასხვა დღეისთვის უკვე წვრილმანი საქმისა და საზრუნავის აღწერისა. იწყება ნამდვილი, გრანდიოზული საქმე, რომელსაც სახელად ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ ჰქვია.

13 ოქტომბერს მისი პირველი სამუშაო დღეა.



ოლიმპიურ სოფელში ხშირად ნახავთ ერთად მოსეირნე სპორტსმენებს საქართველოდან. საკდესის კორესპონდენტმა ამ სურათზე სწორედ ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი აღბეჭდა — ძალოსანი დ. შანიძე და კალათბურთელი ს. კოვალენკო. ამჯერად ზედმეტად მიგვაჩნია ტრადიციული მინიშნება — რომელია მარცხნივ და რომელი — მარჯვნივ. ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს...




# ოლიმპიადები და რეკორდები

ვამოჩენილ სპორტსმენებს ხშირად ეკითხებიან: „რა უფრო ძვირფასია თქვენთვის, ოლიმპიური მედალი თუ მსოფლიო რეკორდი?“ აი, რას ამბობს ცნობილი ავსტრალიელი მორბენალი, მსოფლიოს ცხრამეტგზის რეკორდსმენი რ. კლარკი: „რა თქმა უნდა, ძვირფასია ის, რაც არა გაქვს. ჩემი ოცნებაა ოლიმპიური ოქროს მედალი!“. მას ეთანხმება ახლო წარსულში ცნობილი საშუალო მანძილეზე მორბენალი ზ. ვალენტინი (გდრ): „მე ოქროს სამი მედალი მაქვს მიღებული მსოფლიო რეკორდების დამყარებისთვის. ყველა ამ ჯილდოს სიამოვნებით გავცვლიდი ერთ ოლიმპიურ, თუნდაც, ბრინჯაოს მედალზე!“. ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ექსრეკორდსმენი კ. ბალცერი (გდრ) ამბობს: „ოლიმპიური თამაშები შეიძლება მოიგო ოთხ წელიწადში ერთხელ. ამ ხნის მანძილზე კი მსოფლიო რეკორდი ბევრჯერ შეგიძლია გააუმჯობესო. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ჯილდოა ოლიმპიური ოქროს მედალი!“.

ბალცერივით ბედნიერი ბევრი როდია. მიაღწიო სპორტში ორ სანუკვარ ოცნებას — მსოფლიო რეკორდსა და ოლიმპიურ გამარჯვებას, მხოლოდ გამოჩენილ ოსტატთა ხვედრია. თუმცა ხშირად ამბობენ, რომ მსოფლიო რეკორდსმენის წოდება ხელს უშლის სპორტსმენს ოლიმპიადაში. მაგალი-

ოსნობაში მსოფლიოს მხოლოდ 42 რეკორდსმენი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. თუმცა ეს გამოანგარიშება საეჭვოა: მარტო ბოლო ოლიმპიადებში რამდენიმე ათეულმა მსოფლიო რეკორდსმენმა მოიპოვა ჩემპიონობა.

მოვიყვანთ მაგალითებს. ტოკიოში მსოფლიო რეკორდსმენებად ჩავიდნენ: ჰ. კარი (200 მ), მ. ლარაბი (400 მ), პ. სნელი (800 მ), უ. კოული (400 მ თარჯრბენი), გ. რულანტსი (3000 მ დაბრკოლებებით), ვ. ბრუმელი (სიმაღლეზე ხტომა), ფ. ჰანზენი (ჭოკით ხტომა), ი. შმიდტი (სამხტომი), დ. ლონგი (ბირთვის კვრა), ი. ბალაში (სიმაღლეზე ხტომა), თ. პრესი (ბირთვის კვრა და ბადროს ტყორცნა), ი. პრესი (ხუთჭიდი). ყველა მათგანმა ამ სახეობებში ოქროს მედალი მოიხვეჭა. ამრიგად, ოქროს 13 მედალმა დაამტკიცა მსოფლიო რეკორდსმენთა უპირატესობა. უოქროსმედლოდ გაემგზავრა იაპონიის დედაქალაქიდან 13 მსოფლიო რეკორდსმენი: ჰ. ჯერომი (100 მ), რ. კლარკი (10.000 მ), რ. ბოსტონი (სიგრძეზე ხტომა), ტ. პედერსენი (შუბის ტყორცნა), ჰ. კონოლი (ყროს ტყორცნა), იან ჩუანკუანი (ათჭიდი), მ. ბიორვილი (200 მ), მ. იტკინა (400 მ), დ. უილისი (800 მ), ი. პრესი (80 მ თარჯრბენი), ტ. შჩელკანოვა (სიგრძეზე ხტომა), ე. ოზოლინა (შუბის ტყორცნა).

რომში ჩემპიონები გახდნენ მსოფლიო რეკორდსმენები: ა. ჰარი (100 მ), ჰ. ელიოტი (1500 მ), ლ. კელჰაუნი (110 მ თარჯრბენი), გ. დევისი (400 მ თარჯრბენი), რ. ბოსტონი (სიგრძეზე ხტომა), დ. ბრეგი (ჭოკით ხტომა), ი. შმიდტი (სამხტომი), უ. ნიდერი (ბირთვის კვრა), რ. ჯონსონი (ათჭიდი), ლ. ლისენკო (800 მ), ი. პრესი (80 მ თარჯრბენი), ი. ბალაში (სიმაღლეზე ხტომა), თ. პრესი (ბირთვის კვრა), ე. ოზოლინა (შუბის ტყორცნა).

მხოლოდ შვიდმა რეკორდსმენმა იასპარეზა წარუმატებლად. ესენი არიან: რ. ნორტონი (200 მ), რ. მუნსი (800 მ), ჯ. თომასი (სიმაღლეზე ხტომა), რ. ბაბკა (ბადროს ტყორცნა), ჰ. კონოლი (ყროს ტყორცნა), ჰ. კლაუსი (სიგრძეზე ხტომა), თ. პრესი (ბადროს ტყორცნა).

სხვა ოლიმპიადებზე ეს ციფრები შესაბამისად ასეთია: 1956 წ. — 7 და 12; 1952 წ. — 5 და 8; 1948 წ. — 3 და 2; 1936 წ. — 7 და 6; 1932 წ. — 2 და 10; 1928 წ. — 4 და 10; 1924 წ. — 5 და 1; 1920 წ. — 2 და 0; 1912 წ. — 0 და 6 (უფრო ადრინდელ ოლიმპიადებს მხედველობაში არ ვიღებთ, ვინაიდან მსოფლიო რეკორდების ფიქსირება ოფიციალურად 1912 წლიდან დაიწყეს).

ამრიგად, მსოფლიო რეკორდსმენებმა 62-ჯერ მოიპოვეს ოლიმპიური ჩემპიონობა თავიანთ სახეობებში. 75-ჯერ მათ გამარჯვება დათმეს. ამასთან, თუ დავიწყებთ 1952 წლიდან, როცა საბჭოთა სპორტსმენები პირველად გავიდნენ ოლიმპიურ სარბიელზე, მაშინ ეს ციფრები შესაბამისად ასეთი იქნება: 39 და 40, ანუ დაახლოებით მსოფლიო რეკორდსმენების ნახევარი (ვგულისხმობთ მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებს). ეს ნიშნავს, რომ რეკორდსმენის წოდება, როგორც წესი, არაა ხელშემშლელი გამარჯვებისთვის ბრძოლაში. მეორე მხრივ, ეს გამარჯვების საიმედო გარანტიაც როდია. როგორც ჩანს, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, ყოველი სპორტსმენის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესაბამისად, ფავორიტის მდგომარეობა დადებით ან უარყოფით როლს თამაშობს.

თვალი მივადევნოთ ზოგიერთი მძლეოსნური სახეობის ტენდენციას. მაგალითად, ბოლო სამ ოლიმპიადაში 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდსმენი იმარჯვებდა (ორჯერ გ. დევისი, ერთხელ — უ. კოული). იგივე გამეორდა ბირთვის კვრაში (პ. ო'ბრაიენი, უ. ნიდერი და დ. ლონგი). სამხტომში გამარჯვება რეკორდსმენს ხვდა ბოლო ოთხ თამაშებში (2-2-ჯერ ა. და სილვა და ი. შმიდტი). სამაგიეროდ, დაწყებული 1932 წლიდან, რეკორდსმენს არც ერთხელ არ გაუმარჯვნია ბადროს ტყორცნაში (1936 წელს მსოფლიო რეკორდსმენი ვ. შრიოდერი მეხუთე იყო, 1948 წელს რ. ფიტჩი სარბიელზე არ გასულა, 1952 წელს ფ. გორდიენი მეოთხე იყო, მანვე 1956 წელს II ადგილი დაიკავა, 1960 წელს რ. ბაბკა II ადგილზეა, ხოლო, 1964 წელს ლ. დანეკი აგრეთვე მეორე იყო).

მექსიკაში ამ სახეობებში მსოფლიო რეკორდსმენებად ჩავიდნენ ჯ. ვანდერსტოკი (400 მ თარჯრბენი), რ. მათსონი (ბირთვის კვრა), ი. შმიდტი (სამხტომი) და ჯ. სილვესტრი (ბადროს ტყორცნა). ყოველ მათგანს შეუძლია დაამტკიცოს ან უარყოს ეს კანონზომიერებანი.

თუ არ შეიძლება ვილაპარაკოთ მსოფლიო რეკორდის უარყოფით გავლენაზე ოლიმპიურ ბრძოლაში, სამაგიეროდ, საწინააღმდეგო გავლენა ნამდვილად არსებობს. ოლიმპიური ჩემპიონები შედარებით იშვიათად ამყარებენ მსოფლიო რეკორდებს თამაშებში გამარჯვების შემდეგ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტოკიოს თამაშების შემდეგ მხოლოდ გ. რულანტსმა 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში, ვ. ტაიესმა 100 მეტრზე რბენაში და თ. პრესმა ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში გააუმჯობესეს ან გაიმეორეს მსოფლიო რეკორდები.

გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ კიდევ ერთი მითის შესახებ, ვინაიდან იგი ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელდა. დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შპორტ-ილიუსტრირტე“ ამტკიცებს, რომ ჩვენს დღეებში დიდი ტურნირები, კერძოდ, ოლიმპიური თამაშები, აღარ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ შეჯიბრებებად, სადაც რეკორდები უმჯობესდება. ამის დასამტკიცებლად ჟურნალს მოჰყავს საშუალო რანგის შეჯიბრებებში ნაჩვენები მსოფლიო რეკორდების გრძელი სია. სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სია ტენდენციურადაა შედგენილი. აი, რას მეტყველებენ ფაქტები.

ავიღოთ 1964 წელი. ამ წელს მსოფლიო რეკორდები გაუმჯობესდა ან გამეორდა 20 ოლიმპიურ სახეობაში, აქედან, 10 ოლიმპიურ სარბიელზე. ტოკიოში რეკორდები დამყარდა შემდეგ სახეობებში: 100 მ — რ. ჰაიესი; ესტაფეტები 4×100 მ და 4×400 მ ვაჟებში და 4×100 მ ქალებში; 100 მ — ვ. ტაიესი; 400 მ — ბ. კატბერტი; 800 მ — ე. პეკერი; სიგრძეზე ხტომა — მ. რენდი; შუბის ტყორცნა — ე. გორჩაკოვა; ხუთჭიდი — ი. პრესი. ოლიმპიადა ხომ სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდა! რომში 1960 წელს ოლიმპიურ სახეობებში დამყარებული 29 რეკორდიდან გაუმჯობესდა 9 მსოფლიო რეკორდი, მელბურნში — 6 20-დან, ჰელსინკში — 9 13-დან. საჭიროა კიდევ უფრო საფუძვლიანი მტკიცება? დიახ, ახლა მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად აღარ კმარა იდეალური პირობები და კარგი სპორტული ფორმა. აუცილებელია ფიზიკური და სულიერი ძალების კონცენტრაცია, რომელიც სწორედ დაძაბული ოლიმპიური ბრძოლის მომენტში წარმოიქმნება.

მთელი ძალების მაქსიმალურად დაძაბვა არ შეუძლიათ უძლიერეს ათლეტებსაც კი. ამიტომაა, რომ ოლიმპიურ თამაშებში დამყარებული მსოფლიო რეკორდები განსაკუთრებით საპატიოა. ორგზის საპატიოა ოლიმპიურ სარბიელზე უკვე მსოფლიო რეკორდსმენთა დამყარებული რეკორდები. ტოკიოში ერთადერთმა მძლეოსანმა ქალმა შეძლო ასეთი სპორტული გმირობა. ეს გახლდათ ი. პრესი, რომელიც იაპონიის დედაქალაქში ხუთჭიდში მსოფლიო რეკორდსმენად ჩავიდა (5194 ქულა). ტოკიოში მან ოქროს მედალი მოიპოვა და 5246 ქულა დააგროვა. რომში ასეთი მიღწევები ჰქონდათ ლ. ლისენკოს 800 მეტრზე რბენაში და ავსტრალიელ ჰ. ელიოტს 1500 მეტრზე რბენაში. მელბურნში ასეთი სპორტსმენი არ ყოფილა, ჰელსინკში თავიანთი რეკორდები მოხსნეს ამერიკელმა ათჭიდელმა რ. მათიასმა და ბრაზილიელმა სამმხტომელმა ა. და სილვამ. სხვათა შორის, და სილვა ისტორიაში ერთადერთი მძლეოსანი აღმოჩნდა, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში არა თუ გააუმჯობესა თავისივე რეკორდი (16,01 მეტრიდან 16,22 მეტრამდე), არამედ თამაშების შემდეგ კვლავ მოიპოვა რეკორდსმენის წოდება, როცა სამი წლის თავზე 16,56 მ აჩვენა. თუმცა, ამჯერად და სილვამ გააუმჯობესა არა თავისი მიღწევა, არამედ საბჭოთა სპორტსმენ ლ. შჩერბაკოვის რეკორდი, რომელიც ჰელსინკში ოლიმპიადიდან ერთი წლის შემდეგ იყო ნაჩვენები — 16,23 მ.

**ს. შენგელიანი.**

# პრინცესა და გვარდიელი

რა აქვთ მათ საერთო? ვაჟი მეფის გვარდიის ჯარისკაცია. ეს ზუსტია. ქალი, როგორც გვარწმუნებენ, პრინცესა გახლავთ. სწორედ ასე იხსენიებს მას მექსიკის პრესა.

საერთო ის აქვთ, რომ ორივენი ოლიმპიელები არიან და ცხოვრობენ ერთ სახელმწიფოში, უფრო მარტივად, ოლიმპიურ სოფელში.

ერთ რეპორტაჟში ორნი იმიტომ გავაერთიანეთ, რომ ამ დღეებში ყველაზე პოპულარული სპორტსმენები არიან მეხიკოში. სახელგანთქმული ათლეტები კი ყოველდღე მრავლად ჩამოდიან. უნდა ნახოთ, როგორ ნადირობენ მათზე ჟურნალისტები. როგორ იჭერენ მათს ყოველ სიტყვას პრეს-კონფერენციებზე, რა სისწრაფით ამუშავებენ ფოტოკამერებს.

მაშ ასე, — ვაჟი ეთიოპიელი აბებე ბიკილაა, ქალი — საბჭოთა ტანმოვარჯიშე ნატალია კუჩინსკაია.

ქალი სულ 19 წლისაა, ვაჟი — 36 წლისა. ქალს მოსვენება აღარ აქვს, თავისუფალ დროს მუზეუმშიც ვერ წავიდა მეგობრებთან ერთად — ტელევიზიისთვის ინტერვიუ უნდა მიეცა. იგი მივიდა ინტერნაციონალურ კლუბში, სადაც კინოკამერა იდგა. ისე თბილად და ალერსიანად იღიმებოდა, ისე ლაპარაკობდა, რომ ეს ღიმილი ირგვლივ ყველას გადაედო.

მისი ნათქვამი ყოველი სიტყვაც თბილი, ნათელი, გულწრფელი იყო. წინასწარ არაფერი განუზრახავს, არ უღელავია, საათობით არ უფიქრია, რა ვთქვაო. ამბობდა გულის ნაკარნახევს: „რასაკვირველია, მინდა ოლიმპიადის მოგება. ვის არ ენდომება? ჩემს მეგობრებსაც ძალიან სურთ. ვერა ჩასლავსკასაც“. თავადაც კარგად იცის, რომ მისგან გამარჯვებას ელიან და ეცდება, რა თქმა უნდა.

რეპორტიორს ავიწყდება, რომ ფირი ილევა და ჰკვებს: მექსიკელებს ტანვარჯიში ნატაშამ შეაყვარა, ისე დაიპყრო ყველა ორი წინა სტუმრობის დროსო. ნატაშა კი პასუხად ამბობს: „ახლა უფრო გამიჭირდება. ყურადღებისთვის მადლობა რომ გადავიხადო, უკეთ უნდა გამოვიდე, მაყურებელს რაღაც ახალი უნდა ვუჩვენო“. ნატაშამ თქვა, რომ ძალიან მოსწონს მექსიკა.

ინტერვიუ რომ დამთავრდა, ნატაშა კვლავ სწრაფად გაიქცა თავისიანებთან, საწვრთნელ დარბაზზე. ჯერ მისთვის დამშვიდება ადრეა.

აბებე ბიკილამ კი, პირიქით, ისე გაიარა 50 მეტრი თავისი კორპუსიდან ადმინისტრაციულ შენობამდე, სადაც პრეს-კონფერენცია ტარდებოდა, რომ ერთხელ თავი არ აუწევია, არ გაღიმებია. მას კი სამი ათეული ფოტოკორესპონდენტი მაინც მისდევდა. ასევე მშვიდად და მოფიქრებულად იძლეოდა იგი პასუხს შეკითხვებზე, მიმართავდა მხოლოდ თავის მწვრთნელს, რომელიც მის ნათქვამს ინგლისურად თარგმნიდა. პრესამ მყისვე მონათლა იგი „მოწყენილ გვარდიელად“.

იქნებ წლებმა აიძულა, რომ ენერგიის ყოველი მცირედი ნაწილი დაეზოგა? ბიკილამ ცხოვრების რთული გზა გაიარა და სპორტიც მძიმე აირჩია. როგორ გახდა მარათონელი? „სამსახური რომ დავიწყე, დავრბოდი. არმიაში ყველა ჯარისკაცი დარბის“. 1956 წელს, როცა ეთიოპიელმა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში, ბიკილა 17 წლისა იყო. სწორედ მაშინ იფიქრა სპორტისთვის სერიოზულად მოეკიდა ხელი. დანარჩენი ცნობილია. მან ორი ოლიმპიური სტარტი აიღო მარათონში და ორივეჯერ პირველი იყო.

აქვს თუ არა ბიკილას ამ ოლიმპიადაში გამარჯვების იმედი. „რა საკითხავია!“. სიმაღლე ხომ არ აშინებს? „სულაც არა. ადის-აბება და მეხიკო ერთ სიმაღლეზე დგანან. ამიტომ არ ჩამოვედი წინაოლიმპიურ კვირეულზე“. მეტოქეები, კერძოდ, გასტონ რულანტსი? „მე პირველად შევხვდები მას. მეტოქეების შეფასებას მხოლოდ უშუალოდ შეჯიბრებების დროს, ან უფრო ზუსტად, შეჯიბრებების შემდეგ შევძლებ“. იქნება თუ არა მისი შედეგი მსოფლიო რეკორდზე ნაკლები და, საერთოდ, რა წარმატების იმედი აქვს? „ვფიქრობ მხოლოდ გამარჯვებაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შედეგი ჩემს მიერ ტოკიოში დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე ნაკლები იქნება“. როგორ ემზადებოდა? „წლეულს პირველად გავირბინე მარათონს უცხოურ სარბიელზე. შინ ყოველ კვირაში 80-90 კილომეტრს ვფარავდი“.

ამ შეხვედრიდან ხუთი წუთის შემდეგ იგი უკვე მწვანე საწვრთნელ ქურთუკში, თეთრ ტრუსებში და ჩუსტებში ვნახე (როგორც მისი მწვრთნელი ამბობს, ბიკილა უკვე იქვსი წელია ფეხშიშველი აღარ დარბის). ვარჯიში ბიკილამ პირდაპირ თავისი კორპუსიდან დაიწყო. გვერდით ჩამირბინა, საათივით თანაბარზომიერად, გულმოდგინედ მირბოდა. ნამდვილი მარათონელია.

**ლ. კოსტანიანი,**
აპნ-ის სპეციალური კორესპონდენტი.



ოთხი წლის წინ ტოკიოს ბევრი სტუმარი დარწმუნდა, რა კარგად იყენებენ თამაშების მასპინძლები ოლიმპიურ ემბლემას. მექსიკელებმა გადაწყვიტეს ყველა თავიანთ წინამორბედს აჯობონ. ნაცნობი სილუეტი — „მეხიკო-68“ შეიძლება ნახოთ ალმებზე, წიგნებზე, სკულპტურულ კომპოზიციაზე, ჰალსტუხებზე... და ოლიმპიური სოფლის ცნობათა ბიუროში მომუშავეთა კაბებზეც.

# ალამი დაეშვა



თბილისის სპორტის სასახლე. 11 ოქტომბერი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 22:35 (18:20).

„ბურევესტნიკი". ხუციშვილი, სეფიაშვილი (გაიტანა 1 გოლი), ზარდალიშვილი (1), ნედბაილო (6), ცერცვაძე (9), გაზდელიანი (8), ფხაკაძე (6). ითამაშა კიკაბიძემაც (1).

საავიაციო ინსტიტუტი. ალფეროვი, რუსაკოვი (6), გასიევი (5), მახორინი (9), კლიმოვი (3), ფურავლიოვი (3), კოჟუხოვი (7). ითამაშეს, აგრეთვე, ზობოვმა, ზოტოვმა და ოგანეზოვმა (2).

მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი ი. კიზილიუსი.

* * *

„კუნცევო" (მოსკოვი) — ასკ (კიევი) 11:13 (4:8).

„კუნცევო". ხემიონოვი, სოლომკო (1), აფანასიევი (5), ლუცენკო, მიხაილოვი, ვასილიევი (2), სტოლიაროვი (1). ითამაშეს, აგრეთვე, მოროზოვმა (2) და ლებედევმა.

ასკ. გოროდეცკი, ზახაროვი, ბრატჩენკო (3), მელნიკი (2), ჩერნიაევი (1), მალიკი (3), კორჟი (4). ითამაშეს, აგრეთვე, რაიცინმა, ნიხკოვმა, გლოტოვმა და ვინარსკიმ.

მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი რ. სარქისიანი.

* * *

„ჟალგირისი" (კაუნასი) — „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) 17:27 (7:13).

„ჟალგირისი". ჟიობა, პაიპალასი (2), პეტრენასი (1), არუოლაიტისი (3), გრიშკიავიჩუსი, ეიზიტავიჩუსი (5), პოდბერეცკისი (2). ითამაშეს, აგრეთვე, პენკაუსკასმა, კოვავიჩუსკასმა (4), პასვენსკასმა და სტანკაიტისმა.

„ბურევესტნიკი". პიანკოვი, ბარიშევი (4), შიიანი, მაქსიმოვი (10), პანოვი (3), გრინბერგი (3), ნაკონეჩნი (1). ითამაშეს, აგრეთვე, დოლგიმ (1), ზუბარევმა და ბეზუგლოვმა (5).

მსაჯი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი ნ. კლუსოვი.

* * *

„დაუგავა" (რიგა) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 25:22 (14:9).

„დაუგავა". ვილსონსი, ინდუსი, იუბელი (3), როზენტალსი (8), პრიედნიკსი (2), ა. გულბისი (10), მ. გულბისი. ითამაშეს, აგრეთვე, სპრინგისმა (2), კალნინშმა, ვილიუმსონმა და კიპენსმა.

„ალუმინსტროი". სპექტოროვი, გორიაჩიხი (3), რეზნიკოვი (1), ხუხოვი (1), პოპადჩუკი (4), ბერმანი (2), ივანოვი (2). ითამაშეს, აგრეთვე შატილოვმა (1), ზელენოვმა (8) და ზემლიანოიმ.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვ. კოვალიოვი.

* * *

მაშ ასე, ხელბურთელთა მარათონის მონაწილეებმა საფინიშო ხაზი გადაკვეთეს. შესანიშნავი წარმატება მოიპოვა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა. მოსკოველმა სტუდენტებმა მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლეს, 50 შესაძლებლიდან 46 ქულა დააგროვეს და მნიშვნელოვნად გაუსწრეს თვით ვერცხლის მედლების მფლობელებს — მოსკოვის „კუნცევოს" ხელბურთელებს. პრიზიორთა სამეულში შევიდა ერთი უკრაინული გუნდი — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი", რომელმაც თავის ძირითად მეტოქეებს — კრასნოდარის „ბურევესტნიკსა" და თბილისის „ბურევესტნიკს" ამ ადგილისთვის ბრძოლაში შესაბამისად 3 და 4 ქულით გაუსწრო.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე დასაჯილდოებელთა შორის არ იყო თბილისის „ბურევესტნიკი". საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: თბილისელები ამჯერად მხოლოდ V ადგილს დასჯერდნენ. რას იზამ, გუნდის წინაშე ახლა ბევრი პრობლემაა წამოჭრილი, რომელთა გადალახვა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის მთავარი ამოცანა გახლავთ. და მაინც, ერთმა თბილისელმა ჯილდო მიიღო. ესაა შესანიშნავი სპორტსმენი ი. ფხაკაძე, რომელსაც თბილისის ტურში საუკეთესო გარემარბისთვის დაწესებული პრიზი მიეკუთვნა.

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა კრასნოდარელ ვ. მაქსიმოვს, საუკეთესო მეკარისა — ი. ვილსონსს (რიგის „დაუგავა"). საბჭოთა ხელბურთის ვეტერანი გ. ლებედევი (მოსკოვის „კუნცევო") თბილისის სპორტის სასახლემ დააჯილდოვა სამახსოვრო პრიზით.

ახლა კი გადავხედოთ ხელბურთელთა VII საკავშირო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის საავიაციო ინსტ. | 25 | 21 | 4 | 0 | 46 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 25 | 16 | 3 | 6 | 35 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 25 | 13 | 3 | 9 | 29 |
| „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) | 25 | 12 | 2 | 11 | 26 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 25 | 10 | 5 | 10 | 25 |
| ასკ (კიევი) | 25 | 10 | 2 | 13 | 22 |
| „დაუგავა" (რიგა) | 25 | 9 | 1 | 15 | 19 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 25 | 7 | 2 | 16 | 16 |



სურათზე: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი.

ფოტო დ. ჩიტაურისა.

# ოლიმპიური წვლილიც — არა მარტო ოლიმპიელთათვის



დონეცკი, 11 ოქტომბერი. მეტალურგთა ქალაქის სტადიონები, საცურაო აუზები, დარბაზები და სათამაშო მოედნები დამკვრელური კომკავშირული მშენებლობების I საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეთა განკარგულებაშია: აქ მეორე დღეა მიმდინარეობს საინტერესო შეჯიბრებები, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი.

მწვავე სპორტული ბრძოლები გაიმართებულია სპარტაკიადის ჩირაღდნით, რომელიც მარტენის ღუმელის ცეცხლით აანთეს. ამ ღუმელზე მუშაობდა გმირი მეფოლადე მაკარ მაზაი, ფაშისტებმა რომ აწამეს მხეცურად.

სპორტსმენ მშენებელთა პირველი სტარტები აღინიშნა ხუთი ახალი სპორტის ოსტატის დაბადებით. ყველაზე უხვმოსავლიანი მძლეოსნური 1000-მეტრიანი დისტანცია აღმოჩნდა. ჩერეპოვეცის მეტალურგიული კომბინატის დამკვრელური მშენებლობის წარმომადგენელმა ი. კონოვალოვმა აჩვენა 2.23,5. თავი გამოიჩინა კიდევ ორმა მძლეოსანმა — მაგნიტოგორსკელმა ნ. ვაკულიანჩიკმა და ჟდანოველმა ვ. ტუმოვმა.

მძლეოსნობაში მეოთხე სპორტის ოსტატი გახდა დონეცკელი ვ. სერდიუკოვი, რომელიც 756 სმ სიგრძეზე გადახტა. ძალოსნურ ფიცარნაგზე კლასიკურ სამჭიდში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ქარხანა „აზოვსტალის" მართვის ოსტატმა ნ. ჟარტოვსკიმ (მსუბუქი წონა).

საბჭოთა კავშირის 26 დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის 500 წარმომადგენელი იბრძვის სპარტაკიადის პრიზებისთვის. მაგრამ აი, ორი მათგანი ჯერ კიდევ სტარტამდე გადაეცა თავიანთ პატრონებს. ჟდანოვის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზები ყველაზე ნორჩი მონაწილეებისთვის იყო განკუთვნილი. პირადი პრიზი მიიღო ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის მშენებელთა გუნდის წარმომადგენელმა, 16 წლის მძლეოსანმა ვ. ვოსტრიკოვამ, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა გუნდი აღმოჩნდა მოგილიოვის სინთეტიკური ბოჭკოს ქარხნის ფრენბურთელ გოგონათა კოლექტივი.

* * *

დღეს დამთავრდა მძლეოსანთა შეჯიბრება. ყველას აჯობეს ტრესტ „აზოვსტალსტროის" სპორტსმენებმა. მათმა გუნდმა 12531 ქულა მოაგროვა. II ადგილზე არიან ტრესტ „მაგნიტოგორსკმეტალურგსტროის" წარმომადგენლები (10322), III — „ზაპსიბსტროის" მძლეოსნები (9097 ქულა).

დამთავრდა ტურნირი ავტომანქანის ფიგურულ მართვაშიც. ქალებში პირველი იყო ნოვოკუზნეცკელი მძღოლი ე. სინიაევა, ვაჟებში — ანგარის ნავთობქიმიური კომბინატის წარმომადგენელი ნ. ოსტაპჩუკი.

[illegible]

[illegible]

✦ ახმეტა

ახალი სტადიონის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით სოფ. ფიჩხოვანში ერთმანეთს შეხვდნენ სოფლის ვეტერანი და ახალგაზრდა ფეხბურთელები. საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3. ფიჩხოვანელი ახალგაზრდები მალე ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებსაც მიიღებენ.

ზ. ნათელაური.

# ნანამ კვლავ დაზცა მეტოქის მეფე

აშხაბადი, 11 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო პირველობაში დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

თამაშის განუახლებლად დამთავრდა 4 პარტია: მ. შული (ლვოვი) დანებდა რ. ბილუნოვას (მოსკოვის ოლქი), თ. ბელოვა (ფსკოვი) — ა. ჩაიკოვსკაიას, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — ლ. სტარჩენკოს (ალმა-ათა) და ნ. რუსინქევიჩი (დონეცკი) — ო. კაცკოვას (მოსკოვი).

ხანგრძლივად იბრძოლეს ზატულოვსკაია — კ. ზვორიკინამ (მინსკი) და ბელოვა — თ. გოლოვეიმ (მინსკი), მაგრამ ყაიმის მეტს მაინც ვერ მიაღწიეს.

ამ დღეს შედგა აგრეთვე IV ტურის გამოტოვებული პარტია: ნ. ალექსანდრია — ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი). ქართველმა ოსტატმა დიდი მონდომებით ჩაატარა ეს შეხვედრა და გაიმარჯვა.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ: რ. ბილუნოვა — 5,5 ქულა, რ. ესტერკინა (ლენინგრადი) — 4,5 (5-დან), ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — 4,5, ნ. ალექსანდრია — 4 ქულა და 2 გადადებული პარტია, ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი), მ. რანიკუ (ტალინი) — 4-4.

ა. ჩაიკოვსკაიას 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. სანაძეს — 2,5 ქულა.



საქართველოს სპორტკავშირში

# სასჯელი უღირსი საქციელისთვის

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კოსტავა ბევრჯერ იყო შენიშნული სპორტული რეჟიმისა და დისციპლინის უხეშად დარღვევაში. მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების წინადღით იგი მთვრალი გამოცხადდა საერთო საცხოვრებელში, რის შედეგადაც გუნდისთვის მნიშვნელოვანი შეხვედრა წააგო. შემდეგ კოსტავა ხათადარიძე მონაწილით შეცვალეს, რამაც გავლენა იქონია კოლექტივის საერთო შედეგზე.

1967 წლის 4 სექტემბერს გ. კოსტავას უღირს საქციელზე იმსჯელა რესპუბლიკურმა ფედერაციამ. მას მიეცა დისკვალიფიკაცია წლის ბოლომდე და პირობით 1968 წლის ბოლომდეც.

ამ სასჯელის მიღებიდან რამდენიმე ხნის განმავლობაში კოსტავა დამაკმაყოფილებლად იქცეოდა, რეგულარულად ვარჯიშობდა და შეჯიბრებებში მონაწილეობდა, რაც დაეტყო კიდეც მის შედეგებს: საკავშირო პირველობაში კოსტავამ II ადგილი დაიკავა და იგი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანეს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ უკვე პირადი შეჯიბრების შემდეგ სპორტული რეჟიმის დარღვევისთვის კოსტავა აღარ შეიყვანეს ცსკა-ს დაშნით მოფარიკავეთა გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც ამავე ჩემპიონატის გუნდურ ტურნირში უნდა ესპარეზა.

წლეულს სექტემბერში, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის საერთაშორისო ასპარეზობიდან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, კოსტავამ შეცდომაში შეიყვანა საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი შ. დარასელია და იმის მაგიერ, რომ დაუყოვნებლივ ჩასულიყო წახკაძორში მოფარიკავეთა ოლიმპიურ შეკრებაზე, „უგზო-უკვლოდ დაიკარგა". კოსტავა მხოლოდ გადამწყვეტი შეხვედრების დაწყების შემდეგ, ამასთან, ფიზიკურად მოუმზადებელი ჩავიდა წახკაძორში, რისთვისაც ოლიმპიური გუნდის შემადგენლობიდან გამოიყვანეს და XIX ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს.

ამ დღეებში გ. კოსტავას საქციელზე იმსჯელა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც მიიღო ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაციის წინადადება. სპორტული რეჟიმისა და დისციპლინის სისტემატური დარღვევისთვის, საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელი ამორალური საქციელისთვის გ. კოსტავას მიეცა დისკვალიფიკაცია 5 წლით და აეკრძალა ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობა. ამას გარდა, საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა სთხოვოს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, რომ გ. კოსტავას ჩამოერთვას სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

სპორტის ყველა სახეობის რესპუბლიკურ ფედერაციას დაევალა ეს დადგენილება განიხილოს ნაკრები გუნდების წევრებთან ერთად.




## შვიდი სერიის შემდეგ

კონკურსის მონაწილენი ყველაზე დიდ სიძნელეებს მეშვიდე სერიაში წააწყდნენ. თითქმის ყველასთვის ამოუცნობი დარჩა მე-4 კითხვა ვაუთა ოლიმპიადებში მოჭადრაკე ქალთა მონაწილეობის თაობაზე. მათ შორის აღმოჩნდა კონკურსის ლიდერიც, თბილისელი გ. კაკაურიძე, რომელმაც პირველი ქულა დაკარგა. მაქსიმუმი — 10 ქულა მეშვიდე სერიაში მოაგროვა მხოლოდ ერთმა — თბილისელმა ბ. ტაბიძემ.

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის" 7 სერიის ჯამში დააგროვეს:

69 ქულა — გ. კაკაურიძე (თბილისი).

68 ქულა — თ. ლებანიძე, გ. ლორთქიფანიძე, ბ. ტაბიძე, გ. ხარაზიშვილი, ფ. ჯანყარაშვილი, ე. ჯიჯიაშვილი (ყველა — თბილისი).

67 ქულა — ნ. ბაქრაძე, ა. ბესიაშვილი, ჯ. ბაშელეიშვილი, ნ. ელერდაშვილი, გ. კვაჭაძე, ჯ. მარკარიანი, ა. ტაკიძე, გ. ჩეკურიშვილი, ჯ. ხუციბერიძე (ყველა — თბილისი), ა. მელქაძე, დ. ჩიკვაშვილი, დ. ჯანაშვილი (ყველა — ქუთაისი).

66 ქულა — ი. და ლ. ადამაშვილები, გ. ახალაძე, მ. ზაქარაია, რ. თავაძე, ნ. მასტიაშვილი, კ. ოდიკაძე, ი. პაროშინი, თ. ღვინეფაძე (ყველა — თბილისი), გ. ახრახაძე (წყალტუბო).

65 ქულა — ი. ბუზიაშვილი, მ. სოფრომაძე (ორივე — ქუთაისი), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია), ჯ. თხელიძე, ჯ. ძაგანია (ორივე — თბილისი).

64 ქულა — თ. სიხარულიძე, გ. ჯაფარიძე (ორივე — თბილისი), თ. ალფაიძე (ქუთაისი).

63 ქულა — ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი), დ. ფაჩუაშვილი, ე. ხიზტოვანი (ორივე — ქუთაისი).

62 ქულა — გ. ბასილაშვილი (თბილისი), შ. ბიბილეიშვილი (წყალტუბო).

61 ქულა — ჯ. მჭედლიშვილი, ზ. ქუთათელაძე, გ. ხახიაური (ყველა — თბილისი).

60 ქულა — მ. მამისთვალოვი (თბილისი), გ. მელქაძე (სამტრედია).

59 ქულა — გ. აბურჯანია, ბ. ბასილაია (ორივე — ფოთი), ი. გელოვანი, მ. ჯავახაძე (ორივე — ქუთაისი), ვ. ხვიტია, დ. ჯავახიძე (ორივე — თბილისი).

58 ქულა — ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი), ზ. მაკარიძე (თბილისი).

57 ქულა — მ. წურწუმია (სოხუმი), თ. ლოლომაძე, დ. ხიდეშელი (ორივე — თბილისი).

ვაქვეყნებთ მომდევნო სერიის კითხვებს, რომლებიც ასახავენ მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს.

## მერვე სერია

1. დაასახელეთ საბჭოთა მოჭიდავე, რომელმაც ყველაზე ნაკლები დრო მოანდომა (ყველა შეხვედრაში დახარჯული დროის ჯამი) ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებას.
2. რა ზომისაა ოლიმპიური ოქროს მედალი? რომელი ლითონისგანაა დამზადებული და რას იწონის?
3. დაასახელეთ პირველი ზანგი სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში გამოვიდა. რომელ სახეობაში ასპარეზობდა იგი და რა შედეგით დაამთავრა შეჯიბრება?
4. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად რომელ ოლიმპიადაზე აინთო ოლიმპიური ცეცხლი?
5. დაასახელეთ ოლიმპიური ჩემპიონები, რომელთაც სიცოცხლეშივე დაედგათ ძეგლი (აქ ზამთრის ოლიმპიური თამაშებიცაა ნაგულისხმევი).
6. გაიხსენეთ სპორტსმენები — ერთი ოჯახის წევრები, რომელთაც ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი აქვთ მოხვეჭილი. რა სახეობაში და რომელ ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდნენ ისინი?
7. დაასახელეთ პირველი შემთხვევა ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან, როდესაც ასპარეზობის საზეიმო გახსნისას თავისი ქვეყნის ეროვნული დროშა სპორტსმენ ქალს მოჰქონდა. რომელ ოლიმპიადაზე მოხდა ეს?
8. რომელ ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს პირველად მონაწილეობა XIX ოლიმპიადის მასპინძლებმა — მექსიკელებმა და რომელ თამაშებში მიაღწიეს ყველაზე დიდ წარმატებას?
9. ჰქონდა თუ არა XIX ოლიმპიადამ ასახვა მექსიკური ფულის ნიშნებზე? საერთოდ, რომელი თანამედროვე ოლიმპიადიდან იწყება ამ უძველეს სპორტულ თამაშობათა ფულის ნიშნებზე ასახვის ტრადიცია?
10. გაიხსენეთ შემთხვევა ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან, როცა ერთ ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონობა მოიპოვეს ტყუპმა ძმებმა. რომელი სახეობის წარმომადგენლები იყვნენ ისინი?

მერვე სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 28 ოქტომბერი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი), ხოლო ამავე სერიის პასუხები ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება 8 ნოემბერს.

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს" რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68".

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ, პასუხებს სახელთან და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი, კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი მხოლოდ სპეციალური შესაბამისი კუპონი-8, რომელიც კითხვების სერიას ერთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები რეგისტრირებული და განხილული არ იქნება).

კუპონი 8

---

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# თბილისის „დინამო" და ორი ფორვარდი?!

მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 11 ოქტომბერი.

„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0).

მოსკოვი: ბალიასნიკოვი, შტაპოვი, რიაბოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, სმირნოვი, სიომინი, კოზლოვი, ევრიუჟიხინი, ლარინი.

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, კანთელაძე, მეტრეველი, კუტივაძე, გავაშელი.

მსაჯი გ. ბალდასაროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები — 1:1.

ტრადიციულ მეტოქეთა ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩის ანალიზის დაწყებამდე მინდა დარწმუნებით, დაჯერებით ვთქვა: გაიმარჯვა იმან, ვინც მეტი იშრომა.

რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ ვუშვებ იმ აზრს, რომ თბილისელებმა გულგრილად ან პასიურად, მოუნდომებლად ითამაშეს და მატჩს ზერელედ მოეკიდნენ. არა. უბრალოდ, მოსკოველებმა მეტი იშრომეს, მეტი ოფლი დაღვარეს და ამის საფასურად გაიმარჯვეს კიდეც.

მატჩის ორივე ნახევრის ტრანსლაცია წარმოებდა ცენტრალური ტელევიზიის მიერ და თამაშის ცალკეული მომენტების აღწერა, ვფიქრობ, არცაა საჭირო. ფეხბურთის მოყვარულებმა ნახეს ყველაფერი, რაც მინდორზე ხდებოდა. მე მინდა ვილაპარაკო მხოლოდ იმ ტაქტიკურ გეგმებზე, რომლებიც გამოიყენა ორივე გუნდმა ამ პრინციპულ მატჩში.

მოსკოველებს წინა ხაზზე 3 „ასპროცენტიანი" ფორვარდი ჰყავდათ: კოზლოვი, ევრიუჟიხინი და ლარინი. მათივე რიგებში მოქმედებდა მეოთხე თავდამსხმელი — სიომინი. ამ რაზმს იერიშისას სისტემატურად ერთვოდნენ მასლოვი და ზიკოვი. თანამედროვე ფეხბურთის პირობებში ესაა ნამდვილი, ტიპიური შემტევი თამაში. ამაზე მეტ ძალას თავდასხმისთვის ახლა არ იყენებს არც ერთი გუნდი, ამიტომ ცხადია: მოსკოველებმა თამაში დაგეგმეს საიერიშოდ, მოსაგებად.

თბილისელთა რიგები ამ დღეს ერთობ გადასხვაფერებულად წარმოგვიდგა და ვერ ავიღებ ჩემს თავზე გაბედულებას ვთქვა, რომ ეს ვარიანტი გამარჯვების რწმენით იყო ნაკარნახევი. თავად წარმოიდგინეთ: უშუალოდ შეტევის ბირთვს ქმნიდა მხოლოდ 2 ფორვარდი — მეტრეველი და გავაშელი. დანარჩენები, რომლებსაც აგრეთვე უნდა შეესრულებინათ საიერიშო ფუნქციები (ხურცილავა, კუტივაძე, ილიადი) მინდვრის შუაგულში თამაშობდნენ და მოპირდაპირე კარისთვის ხიფათი უნდა შეექმნათ მხოლოდ-დამხოლოდ კონტრშეტევის საშუალებით.

აი, ასეთი იყო მეტოქეთა ძალების დისლოკაცია ამ დიდი ბრძოლისას და ჩვენ, ტრიბუნაზე მსხდომნი, ერთმანეთს ვეკითხებოდით: რა თბილისის „დინამოა" ის გუნდი, რომელიც სულ 2 ფორვარდით თამაშობს?

ასეთი სიღარიბე თავდასხმაში არაა თბილისის „დინამოს" სპეციფიკა, მისი სტიქია. თუ კიევის „დინამო" ასე თამაშობს, მას აქვს კიდეც საამისო უფლება, ვინაიდან ეს ტაქტიკა გუნდს წლობით აქვს დამუშავებული და სულ სხვაგვარად იყენებს მას. თბილისელთათვის კი ერთ მატჩში ასეთ რადიკალურ გადაადგილებათა მოხდენა, თუნდაც მაშინ, როცა გუნდში გყავს ხურცილავა, წარმატებას ვერ მოგიტანს.

ასეც მოხდა. მატჩი ძალიან დაძაბული, საინტერესო და ტემპიანი იყო, მაყურებლებს მან დიდი ესთეტიკური სიამოვნება მოუტანა, მაგრამ მდგომა- რეობის ბატონ-პატრონნი, რასაკვი- ველია, მოსკოველები იყვნენ. გაიხ- ნეთ რამდენი სახიფათო მომენტი შ- იქმნა სტუმრების კართან და რამ- ნი — მასპინძლებთან? გაიხსენ- რა დატვირთვა გადაიტანა ურუშა- და რამდენით ნაკლები — ბალიას- კოვმა?

მოსკოველთა ყოველი შეტევა გ- ლებით უფრო ხანგრძლივი და საფუ- ლიანი იყო, ვიდრე თბილისელები- კარში დასარტყმელი მომენტები მ- პინძლებს ჰქონდათ ახლოდანაც შორიდანაც, 4-5 ფეხბურთელი მ- მონაწილეობდა ამ ოპერაციებში, ს- მრები კი შორიდან აწოდებდნენ მა- ბურთებს გავაშელს, რომელიც მ- ტოდმარტო იყო „ჩაფლული" კ- წინ 2-3 ახოვანი აგებულების მ- ნაალმდევე მცველს შორის. რა შ- მას, როგორ ებრძოლა? შეტევის მ- ხენა ფლანგი თბილისელებს საერთ- არ ჰქონდათ.

ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა უნდა ვეძიოთ სტუმრების მარცხის თავრესი მიზეზი, თუმცა ადვილი შ- ძლებელი იყო მატჩი ფრედაც დამთ- რებულიყო (ან ურუშაძე არ გაუშვე- მასლოვის მიერ შორიდან დარტყმ- ბურთს, ან ხურცილავას შესანიშნ- დარტყმა მიაღწევდა მიზანს თამაშ- ბოლო წუთებზე).

ის მომენტი, რომელიც მასლოვ- 77-ე წუთზე გოლით დაამთავრა, ტ- პიური იყო თბილისელთა მცველებ- თვის. მათ 3-4-ჯერ მოიგერიეს ბ- თი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოი- ლეს იგი სახიფათო ზონიდან. დარჩენილმა მასლოვმა შორიდან ზ- სტად დაარტყა კარში და ურუშა- ვერ მიწვდა მაღალ ბურთს.

მატჩის ხსნის ბოლო შანსი სტ- რებს მაინც ჰქონდათ. თამაში იწურ- ბოდა, როცა მარჯვენა ფრთაზე გა- ლმა ხურცილავამ საშინელი ძალ- დაარტყა და ბურთი ბადეს მოხვ- გარეთა მხრიდან.

შ. პაპი- (ტელეფონით, ჩვენი კორ.)

## ალმა-ათაში

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 10 ოქტომბერი.

„კაირატი" (ალმა-ათა) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:0 (1:0).

„კაირატი": ზუბენეცი, დიშლენკო, იშჩენკო, ფედოტოვი, ახილბაევი, მუხინი, კვოჩკინი (დოლმატოვი), ვოლოხი, აბგოლცი, სეგიზბაევი, ტიაგუსოვი.

„ტორპედო": კოტრიკაძე, წვერავა, წივწივაძე, შერგელაშვილი, ებრალიძე, ასიტაშვილი, ჩხაიძე (ჭოლაძე), ზარია (ნაჭყებია), ხერხაძე, ვეკუა, ჭითანავა.

გოლები: ტიაგუსოვი (35-ე წ.) და ვოლოხი (67-ე წ.).

მსაჯი ა. კაჩარი (კიევი).

დუბლიორები — 2:2.

## გუშინ...

„დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" 1:0

ცსკა — „არარატი" 1:0

„ჩერნომორეცი" — „ლოკომოტივი" 1:1

„ზენიტი" — „კრილია სოვეტოვი" 8:0.

## „ბ" ჯგუფი

11 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ" კლასის რსფსრ-ს III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ლანჩხუთიდან...

დიდი ინტერესი გამოიწვია IV ზონის ლიდერების — ადგილობრივი „გურიისა" და მახარაძის „მერცხლის" შეხვედრამ. მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაძაბული და შეუპოვარი ბრძოლის მოწმე იყო. ორივე გუნდმა ყველაფერი გააკეთა, რათა წარმატებით დაემთავრებინა ეს პრინციპული მატჩი და, მართალია, გამარჯვება „გურიამ" მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიპოვა, მის მიერ აღებული 2 ქულა სავსებით კანონზომიერია.

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია, თუმცა ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობანი. მაგალითად, ლანჩხუთელმა ძიძიგურმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ აიღო კარი, ხოლო მალე „გურიის" მეკარე კირვალიძემ იხსნა თავისი გუნდი კაფიაშვილის ძლიერი დარტყმის შემდეგ.

შესვენების მერე ლანჩხუთელებმა მიაღწიეს საერთო ტერიტორიულ უპირატესობას. 48-ე წუთზე პერტენავამ შორიდან ზუსტი საჯარიმო დარტყმით გაგზავნა ბურთი „მერცხლის" კარში — 1:0.

დარჩენილ დროში ბრძოლის სიმწვავე არ შენელებულა. ორივე გუნდის კართან კვლავ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ მცველები და მეკარეები. „გურიამ" კიდევ უფრო განიმტკიცა ერთპიროვნული ლიდერის მდგომარეობა.

ი. ებრალიძე.

## 1:0, 1:0, 7:1, 3:2

### რუსთავიდან...

ადგილობრივ „მეტალურგს", რომელმაც საგრძნობლად გამოასწორა თავისი სატურნირო მდგომარეობა, ძალიან სჭირდება ქულები და გუნდი გამარჯვების რწმენითაც გამოვიდა მინდორზე. მაგრამ ამ დღეს თავგამოდებით თამაშობდა სლავიანსკის „უროჟაიც" და ამიტომ იყო, რომ მასპინძლებს გაუჭირდათ გამარჯვება.

პირველი ტაიმის ორმხრივ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. შესვენების შემდეგ „მეტალურგმა" მნიშვნელოვნად გააძლიერა თამაში. სტუმრების კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, ინიშნებოდა საჯარიმოები, კუთხური მოწოდებები. ყოველივე ამას მოჰყვა მეტრეველის მიერ 78-ე წუთზე გატანილი გოლი. „უროჟაის" მეკარე სვისტუნოვმა ვერ შეძლო ძლიერად დარტყმული ბურთის აღება და მასპინძლებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 1:0.

რ. ზაზრიშიძე.

### გორიდან...

„დილა" ერთხანს ერთპიროვნული ლიდერი იყო III ზონაში, მაგრამ მთელი რიგი წამყვანი მოთამაშეების ავადმყოფობისა და ტრავმების გამო თავის შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა ჩაატარა შეხვედრები სტუმრად და დიდი დანაკლისიც განიცადა ქულებში.

განვლილ ტურში გორელებმა მიიღეს ლენინგრადსკაიას „უროჟაი" და ადრინდელი სიძლიერით ჩაატარეს შეხვედრა. მართალია, მოხდა ისე, რომ მე-3 წუთზე ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება.

საპასუხო ბურთი სულ მალე გაიტანა კაპანაძემ, ხოლო ტაიმის დასასრულამდე ივანოვმა და ბურჯანაძემ თვალსაჩინოდ დააწინაურეს „დილა" — 3:1.

მეორე ტაიმში გორელები იერი- განაგრძობდნენ. ჯორბენაძისა და ბუ- ჯანაძის მიერ გატანილ ორ გოლს მა- სტუმრების ერთ-ერთმა მცველმა - დევ ერთი დაუმატა საკუთარ კარ- ხოლო ივანოვმა მოათავა „უროჟაის" დამარცხების საქმე — 7:1.

რ. ონიკაშვილი.

### ცხინვალიდან...

ადგილობრივმა სპარტაკელებმა ზ- დიზედ 3 გასვლითი შეხვედრა წააგ- და გუნდის გულშემატკივრებს იმედ- ჰქონდათ, რომ ისინი შინ მაინც შეეც- დებოდნენ მდგომარეობის გამოსწორ- ბას. მაგრამ ასე არ მოხდა. ფოთ- „კოლხეთთან" ცხინვალელები კვლ- უსისტემოდ, არაორგანიზებულად თ- მაშობდნენ. მე-20 წუთზე „სპარტაკის" დაცვაში მოხდა შეცდომა, რომელ- კარგად გამოიყენა ჯაიანმა და გახს- ანგარიში. ამის შემდეგ მასპინძლებ- რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გ- უშვეს ხელიდან და მხოლოდ ტაიმ- დასასრულს გაქვითა გაბოძემ ანგარ- ში — 1:1.

შესვენების შემდეგ ჯაიანმა ლამ- ზი, ეფექტური დარტყმით მეორე ბუ- რთი გაიტანა მასპინძელთა კარში - პატარა ხნის შემდეგ მანვე კიდევ ე- თხელ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტ- რიდან დაეწყო თამაში.

სპარტაკელებმა შეძლეს მხოლოდ - რომ 65-ე წუთზე ერთი ბურთით შე- ამცირეს განსხვავება ანგარიში: ბუ- რთი პენალტიდან გაიტანა გაბოძემ.

გაიმარჯვეს ფოთელებმა — 3:2.

ვ. მელქონოვი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.



უე 04267